საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ხუთშაბათი, სექტემბრის 8
1921 წ.
№ 16
ფასი 500 მანეთი

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 10,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პური და განათლება

ხალხისათვის, მშრომელი მასისათვის, პურის შემდეგ უდიდესი მნიშვნელობა აქვს განათლებას. ჩვენმა ხალხმა ეს კარგად იცის და ამიტომაა, რომ წელიწადზე ფეხს იდგამს, ვალებში ვარდება, მამა-პაპეულს ჰყიდის, მრავალ გაჭირვებას იტანს, ოღონდ შვილებს ასწავლოს, განათლება მიაღებინოს. უსწავლელი კაცი პირუტყვსა ჰგავსო, გაიგონებთ ხალხისაგან. „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელეო", ამბობს ქართული ანდაზა და ამაზედ უკეთ ვერ დაასაბუთებთ განათლების მნიშვნელობას, თუ გინდ მთელი ტრაქტატები სწეროთ მის შესახებ.

მაგრამ როგორც პურს, ისე განათლების განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რევოლიუციურ ხანაში. მთავრობის დამარცხება და ძალა-უფლების ხელში ჩაგდება ჯერ რევოლიუციად აქცევს. შემდეგ იწყება ზრუნვა რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისათვის. რაა ამისათვის საჭირო? უწინარეს ყოვლისა პური. Хлеба! Хлеба, прежде всего! Революции нужен хлеб! ამბობს პ. კროპოტკინი თავის წიგნში „Хлеб и Воля", რომელიც დაწერილია ამ ოცი წლის წინად და რომელშიაც აწერილია სოციალური რევოლიუცია. ხალხის გამოკვება ყოველი რევოლიუციური მთავრობის უპირველესი და უძნელესი საკითხია. მაგრამ ეს შეუდარებლად უფრო ძნელია დღეს, როცა რევოლიუცია დაეპატრონა მსოფლიო ომის გაღატაკებულ ქვეყანას და ხანგრძლივმა სამოქალაქო ომმა სულ გაანადგურა როგორც მრეწველობა, ისე მეურნეობა. სწორედ ამაზედ, ამ გასკდებულ სიძნელეზე ემყარება დღეს კონტრ-რევოლიუციის მთელი იმედები. უპურობა, სიმშილობა! აი რა ასულდგმულებს დღეს რევოლიუციის მტრებს. ამიტომაც ჩვენი უმთავრესი ყურადღება აქეთ უნდა მივაქციოთ. რადაც უნდა დაგვიჯდეს ხალხს პური უნდა მივაწოდოთ!

მაგრამ ხალხის გამოკვებაზედ ზრუნვამ არ უნდა დაგვავიწყოს მეორე დიდი საქმე, ხალხის განათლება. პური აუცილებელია, რომ სიმშილობამ ხალხს რევოლიუციაზედ გული არ აუცრუოს. მაგრამ რევოლიუცია მიზანს ვერ მიაღწევს, ფუჭად ჩაივლის ამდენი მსხვერპლი, თუ ხალხი გონივრულად მომზადებული არაა დიადი მომავლისათვის. წინა რევოლიუციების ხელმძღვანელთ კიდევ შეეძლოთ დიდი ყურადღება არ მიექციათ ხალხის განათლებისათვის, ვინაიდან მათი მიზანი იყო უმთავრესად პოლიტიკური ცვლილების მოხდენა, მართვა-გამგეობის ახალი კონსტიტუციის შემოღება. ამისათვის კარგია, თუ მასა ნასწავლი და განათლებული იქნება, მაგრამ ეს აუცილებელი არაა. საკმარისია მომზადებული იყოს ნაწილი ხალხისა; იმდენი, რამდენიც საჭიროა სახელმწიფო მოხელეებად და სხ. დანარჩენი მასა შეიძლება უმეცარი დარჩეს. ხმის მიცემისათვის არაა საჭირო მაინცადამაინც დიდი ცოდნა-გამოცდილება. უკიდურეს შემთხვევაში მოაცემენ ხელში ბიულეტენს, მიიყვანენ ყუთთან და ჩააგდებინებენ შიგ. მოქალაქის მოვალეობა მოხდილია, დემოკრატიული პრინციპი დაცულია!

მაგრამ სულ სხვაა თანამედროვე რევოლიუციის მიზანი. კომუნიზმის განხორციელება არ შეიძლება ხმის მიცემით, კანონმდებლობით, მართვა-გამგეობით. კომუნიზმი არ განხორციელდება ისეთ საზოგადოებაში, სადაც მხოლოდ ნაწილია განათლებული და მასა უმეცარი. კომუნიზმი ლამაზ ოცნებად დარჩება, სანამ მასა უსწავლელი და გაუნათლებელია. კომუნიზმი გულისხმობს მთელი ხალხის შემოქმედებას და არა მარტო მისი ნაწილის. ამიტომ მთელი ხალხის განათლება უმთავრესი საზრუნავია ამ გარდამავალ ხანაში. ეს თავი და თავი საქმეა კომუნიზმისათვის საჭირო პირობათა მომზადებაში. ბარიკადებზე გამარჯვებისათვის საკმარისია ფიზიკური ძალა, მაგრამ კომუნიზმის კაპიტალიზმზედ გამარჯვებისათვის აუცილებელია ინტელექტუალური ძალა, ცოდნა და გამოცდილება.

რუსეთში განათლების საქმე შედარებით კარგად მოუწყვიათ. ამას აღიარებენ ბოლშევიკების მტრებიც. ჩვენშიაც სწარმოებს, რამდენადაც ვიცით, ინტენსიური მუშაობა სათანადო ორგანოებში. ემზადებიან სასკოლო რეფორმისათვის. მაგრამ ყოველივე ეს შეეხება ახალ გეგმას, ახალ სისტემას. ის კი, ვინაც ეს ახალი სისტემა ცხოვრებაში უნდა გაატაროს, სიტყვა საქმედ აქციოს, მივიწყებულია, არავის ახსოვს. მასწავლებლის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ჯერ არაფერი გაგვიგონია. ყველანი განვიცდით მძიმე კრიზისს, ყველას გვიჭირს, გარდა სპეკულიანტებისა, მაგრამ მასწავლებლის მდგომარეობა განსაკუთრებულია. პროვინციიდან ცნობები მოდგდის, მასწავლებლებს ხუთი თვეა, რაც ჯამაგირები არ მიუღიათ. აბა რასა ჰგავს ეს? ნუ თუ ეს მართალია, ნუ თუ ეს შესაძლებელია? ალბად, შემთხვევით გამონაკლისთან გვაქვს საქმე, ადგილობრივ ხელისუფალთა დაუდევრობასთან. მაინც საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, რომ მასწავლებლებს თავის დროზედ დაურიგონ ჯამაგირები ყველგან.

მაგრამ ეს არ კმარა, არაა დამაკმაყოფილებელი ოდნავადაც. დღევანდელი ჯამაგირებით მასწავლებლებს ვერ ვიშოვით და სკოლა ცარიელი დაგვრჩება, ბავშვები უსწავლელი. მასწავლებლები ან სპეცებად უნდა იქნან ცნობილნი, ან მათთვის ჯამაგირების განსხვავებული ნორმაა საჭირო.

გარდა ამისა უნდა დაურიგდეს ფეხსაცმელები და ფართალი. ზოგი მასწავლებელი გარედ ვერ გამოდის არა აქვს ფეხსაცმელი, არ გააჩნია ტანსაცმელი. რა თქმა უნდა, ის სკოლაში ვერ შევა, თუ არ შევმოსეთ. ეს უდავოა. აუცილებელია აგრეთვე მასწავლებლებს ეძლეოდეს ყოველგვარი ულუფა, თუ შეიძლება განსაკუთრებული, მასწავლებლის ულუფა და ეს ყოველ მიზეზს გარეშე, აუცილებლივ უზრუნველყოფილი იყოს. (Забронированные пайки). მხოლოდ ასეთი საშუალებით, ასეთი განსაკუთრებული ზომებით შეიძლება სკოლის კარები გავაღოთ დანიშნულ დროს და სწავლა დავაჩქაროთ. უამისოდ არაფერი არ გაკეთდება და ბავშვები უსწავლელნი დარჩებიან. ყოველი ზომები უნდა იქნას მიღებული ამის თავიდან ასაშორებლად. განსაკუთრებული მდგომარეობა განსაკუთრებულ ზომებს მოითხოვს. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი დავასახელეთ. ვებრძოლოთ უმეცრებას ყოველი საშუალებით, შევიტანოთ ხალხში, ფართე მასაში განათლება და გამარჯვებაც ჩვენი იქნება. სინათლით ვსძლიოთ სიბნელე

თმეგა.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ადგილობრივ ორგანიზაციებს შეუძლია აღძრას ყრილობისათვის სხვა და სხვა საკითხი 20 ენკენისთვემდე; საყრილობო საკითხს ამტკიცებს დრ. მთავარი კომიტეტი.

## ყრილობა და პარტიის პოზიცია

ჩვენი პარტიული ყრილობა ახლოვდება. სოც.-ფედ. სარ. პარტიის ისტორიას არ ახსოვს ისეთი საბედისწერო მომენტი, როგორიც არის დღეს. მთელ მსოფლიოში პარტიათა ცხოვრება იცვლება და ხდება განწმენდა სოციალისტური და რევოლიუციური პარტიების არა სოციალისტური ელემენტებისაგან, რომელთაც აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ განწყობილებამ თავი მოუყარა პარტიაში, ხოლო დემოკრატიული წყობილების იქით მათი პოლიტიკური ჰორიზონტი აღარ იშლება.

დღეს ისეთ ძალებსაც კი ნიადაგი ეცლება, როგორიც არის გერ. სოც.-დემ. პარტიის იდეური ხელმძღვანელი კარლ კაუცკი. ავსტრიაში რენერს მინისტერიალიზმი მსხვერპლად იწირავს, ენდერსონის გავლენა ინგლისის მუშათა წრეში ქრება. იტალიის სოციალისტური პარტიის შეერთებული კრება ლივორნოში განხეთქილებით სრულდება და პარტია სამად იყოფა. სერატის, ტურატისა და ლაცზარის ბლოკი იღებს 90 ათას ხმას, ხოლო უკიდურესი მემარცხენენი 5 ათას ხმას და მემარჯვენეებმა კი მხოლოდ 14 ათასი ხმა. დღეს ბომბაჩის გავლენა კიდევ უფრო იზრდება და სერატისა და ტურატის ჰკლდება რაზმები. გერმანიაში ჰალეს მოღვაწეობს. საფრანგეთის სოციალისტური პარტია მესამე ინტერნაციონალს იღებს, ინგლისში რამზაი მაკდონალდი ირიყება თავის პარტიიდან, არსდება კომუნისტური პარტია მაკმანუსის მეთაურობით და სხვა. ყოველივე ეს ნათელი და აშკარა მაგალითებია, რომ მსოფლიო მაშტაბით ხდება პარტიათა შემადგენლობის დიფერენციაცია.

დიდი ისტორიული მოვლენა სოციალურ ცხოვრებაში მიზეზი ხდება ყოველთვის სოციალური ძალების გადასინჯვისა და აშკარად ისახება ამავე დროს, ამა თუ იმ პარტიის პოლიტიკურ-სოციალური მიმართულების ადგილები პარტიათა იერარქიაში.

უმთავრესი ნიშანდობლივი თვისება პარტიის გამოცნობისა არის ის პოზიცია, რომელიც აქვს მას თანამედროვე მომენტის შეფასებაში.

ერთი დემოკრატიული ხაზი ჰყოფს დღეს იმ არეს, სადაც მოთავსებულია პარტიის მხედველობა. ზოგნი კაპიტალიზმის განვითარებაზე ოცნებობენ, ხოლო ზოგნი დღევე უცხადებენ ბრძოლას კაპიტალიზმს. პირველის ორიენტაცია არსებითად ანტანტის ორიენტაციაა, მეორეს ორიენტაცია სოციალური მოძრაობის ორიენტაციაა. პირველშიაც მოიძებნებიან გულწრფელი სოციალისტები, იდეის მატარებელი ხალხი და უანგარო მოღვაწენი, მაგრამ ობიექტიურად მათი პოლიტიკა დღეს აშკარად კონტრ-რევოლიუციონურია და საქმისათვის სულ ერთია გულწრფელობით, თუ ცბიერებით იქნება კონტრ-რევოლიუციონერობა.

ჩვენი პარტიის ბედის უკუღმართობა იმაში მდგომარეობდა, რომ თავიდან მასში შეიჭრა ისეთი ელემენტები, რომლებსაც არაფერი საერთო არ ჰქონდათ არც სოციალიზმთან და არც რევოლიუციონიზმთან. ეს გარემოება ადვილი ასახსნელია, თუ მოვიგონებთ ჩვენი მოღვაწეობის პირველ პერიოდს, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ არეზე არ მოქმედობდა არც ერთი პარტია, სოც.-ფედ. სარ. პარტიის გარდა, რომელიც გარკვეულ ეროვნულ მიზნებს ისახავდა და ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა. ამ გარემოებამ პარტიაში გააძლიერა ეროვნული ელემენტები და მიანელა სოციალისტური.

არსებითად თუ ვინმეს რამე გაუკეთებია საქართველოში ერის უფლებების დასაცავად, ამაში აუცილებლად პირველობა ჩვენ გვეკუთნის, ამ პირველობით ვამაყობთ კიდეც და, როგორც დღიდან არსებობისა, ისე ეხლაც ჩვენ პირნათლად ვემსახურებით ეროვნულ-სოციალისტურ მიზანს. მაგრამ თუ წინეთ ეროვნულ იდეას არა სოციალისტური ელემენტები ეფარებოდნენ, ეხლა არა ერთხელ გაწმენდის შემდეგ, სრულიად უნდა განვიწმინდოთ არა სოციალისტური ელემენტებისაგან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი პარტიული ყრილობა პირველი ყრილობა იქნება, რომელზედაც ადგილი არ ექნებად დიპლომატ სოციალისტებს, ორპირს თავისი თეორიით, ორპირს თავისი პრაქტიკით.

ყრილობა ახალი მოვლენაა ჩვენს პარტიულ ცხოვრებაში, მან ახალი გეზი უნდა მისცეს პარტიას და ახალი ძალები გამონახოს ამ გეზის განახორციელებლად. მან უნდა შექმნას ახალი ტრადიციები პარტიულ ცხოვრებაში, უნდა დააკავშიროს პარტიის წევრები ერთმანეთთან მთელი თავისი იდეური სიწმინდით და პრაქტიკული საქმიანობით, უმთავრესად კი სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს პარტია ყოველივე მერყეობა-ორჭოფობას.

დეე საზარელი ხმით იჩხავონ ყოველი ტიპის რეაქციონერებმა, დეე ერთხელ კიდევ მოინდომონ სახელის გატეხა სოც.-ფედ. პარტიისა ქართველ მასაში, დაე მეჭორეებმა კიდევ შეთხზან ზღაპრები და ქუჩის პოლიტიკოსებმა გაავრცელონ იგი, ჩვენ ჩვენსას არ დავიშლით, ვიბრძოლებთ ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ და არ შეუშინდებით არავითარ მოშხამულ ატმოსფერას, რადგან ღრმად გვწამს და გვჯერა, რომ ჩვენი გზა ერთად ერთი გზაა, რომლითაც უნდა ვიდოდეს ქართველი მშრომელი, განაწამები მრავალწელთა განმავლობაში.

ჩვენი დროშა ამაყად უნდა იდგეს საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე, იგი არავის წინაშე არ უნდა იხრებოდეს და უფრო ადვილად უნდა ვზიდოთ მძიმე ჯვარი წამების გოლგოთისაკენ, ვიდრე ჩვენივე ხელით მოუხმოთ რომელიმე რეაქციონურ ძალას და ჩვენივე ხელით ჩამოვრეკოთ ზარი საქართველოს მონობისა.

სოც.-ფედერალიზმს თავისი განსაკუთრებული იდეოლოგია აქვს დაყრდნილ. მეცნიერულ საფუძვლებზე და მას თავისი გარკვეული პრაქტიკა უნდა ქონდეს დამყარებული თავის იდეოლოგიაზე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომავალი ყრილობა სავსებით გაამართლებს იმ იმედს, რომელსაც ჩვენ მასზე ვამყარებთ, რომლისთვის ვიბრძვით და ვიბრძოლებთ მომავალშიაც.

ყრილობამ ნათლად უნდა დასახოს პარტიის პოზიცია და ვისაც შესწევს კრიტიკული აზროვნების ნიჭი, ვინც არ უფრთხის პატარა ტკივილებს დიდი მიზნისათვის ბრძოლაში, ვისაც სოციალიზმი მარტო თავისი ფუფუნებისათვის არ დაუსახავს და რევოლიუციონიზმი უმოქმედობა არ წარმოუდგენია, მან თავი უნდა მოიყაროს ყრილობის ირგვლივ და ერთგულად ემსახუროს რევოლიუციის საქმეს, რომელიც თავდები იქნება ქართველი ერის ჭეშმარიტი თავისუფლების.

ხერ. ამაღლობელი.

## სტუდენტთა საკითხი.

უბინაობა, შიმშილი, გაჭირვებული ცხოვრება—ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველ სტუდენტისათვის. ქართველი სტუდენტობა მთელი თავისი სიმწვავით განიცდის ამ ქამად ეკონომიურ კრიზისს. საერთოდ სტუდენტობა არასოდეს, არც ერთ მთავრობის დროს არ ყოფილა უზრუნველყოფილი. სტუდენტთა ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არც ერთ მთავრობას არ გადაუდგამს რაიმე ნაბიჯი. მათთვის არ არსებობდა სტუდენტთა საკითხი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მენშევიკურ მთავრობას უკვე ჰქონდა გადაწყვეტილი ეგ საკითხი: სტუდენტობა არ ეკუთვნის მუშათა ან მოსამსახურეთა კატეგორიას. აქედან ლოღიკური დასკვნა: მათთვის დახმარება სახელმწიფოს არ შეუძლია, არ არსებობს ასეთი წესი, დახმარება სტუდენტობისათვის—ეს „წესის" დარღვევაა. „წესის" დარღვევა სახელმწიფოს თვალსაზრისით ბოროტმოქმედებაა ან განა შესაძლებელი იყო მთავრობა დახმარებოდა სტუდენტობას, მაშინ როდესაც უმაღლესი განათლება „ფუფუნებათ" მიაჩნდათ ისეთ პასუხის მგებელ პიროვნებებს, რომლებისაგან დამოკიდებული იყო სტუდენტთა ეკონომიური საკითხების ასე თუ ისე გადაჭრა? განა მეტი იყო მოსალოდნელი მენშევიკებისაგან, როცა საწყობებში აურებელი ნივთები ჰქონდათ, ულპებოდათ, უჟანგდებოდათ და სტუდენტთა სასადილოსათვის წვრილმან რამეს არ იმეტებდენ? სწორედ მაშინ გვიტყოდენ არაფერი მოგვეპოვებაო, როცა სტუდენტთა კავშირის გამგეობის წარმომადგენელს თითონ უნახავს ხოლმე სასადილოსათვის საჭირო ნივთები. ხშირად ყოფილა, რომ ოფიციალური პიროვნებიდან, უწყების სათავეში მდგომიდან მიგვიღია ასეთი პასუხი: „გვაქვს და არ გაძლევთ და მუშტით ხომ არ გინდათ წაიღოთო?!" მაშინ, როცა ერის საბარისებო საკითხი დაისმოდა, სტუდენტობას პირველად მიმართავდენ, მთელი იმედებს მათზე ამყარებდენ და სტუდენტობას ყოველთვის გაუმართლებია მედები, მაგრამ როცა სტუდენტთა საკითხი დაისმოდა, ის უსათუოდ უარყოფითად უნდა გადაწყვეტილიყო. ასეთი პატივისცემა გვქონდა მენშევიკებისაგან ქართველ სტუდენტობას. სტუდენტთა-

თვის პურის მიცემა ნიშნავდა გვარდიის, „სახელოვანი“ გვარდიის დამშევას.

ძლივს, ძლივს შესძლო სტუდენტთა კავშირის გამგეობამ გამოეთხოვა სასადილოსათვის მომარაგების სამინისტროდან 100 გირვანქა პური, რომელიც შეწყვეტილ იქმნა ბ. ერაძის განკარგულებით კიდევ მაშინ, როცა პერსპექტივშიც არ იყო ომი საბჭოთა ჯარებთან. მისი, პურის მიღებამ შემდეგი პროცესი განვლო: ბ. ერაძემ ჯვარი წააწერა სტუდენტთა კავშირის გამგეობის თხოვნას პურის შესახებ. კავშირის გამგეობამ თვით ჟორდანიასაც მიმართა, რომელმაც დაადასტურა ერაძის დადგენილება. გამოსავალი გზა აღარ გვქონდა. გავიდა ხანი.—კავშირის გამგეობამ ხელმეორედ გადასწყვიტა მიემართა მომარაგების სამინისტროსათვის—ერაძისათვის. უკანასკნელის იქ არ ყოფნის გამო კავშირის გამგეობამ მიიღო 100 გირ. პური მინისტ. ამხან. ზახტაძის საშუალებით, რომელმაც არ იცოდა რასაკვირველია არც ერაძის და არც ჟორდანიას დადგენილება. მაგრამ მალე ბ-მა ერაძემ პურის მიღება შეგვიწყვიტა, როგორც ზემოთ ვსთქვით.

მდგომარეობა, რომელშიდაც იმყოფებოდა ქართველი სტუდენტობა მენშევიკების დროს, ამ ჟამად გაცილებით უარესია. ამას რასაკვირველია თავისი მიზეზები აქვს. საშინელ გაჭირვებაში ჩავარდნილი ქართველი სტუდენტობა მოწყვეტილი არის თავის პირდაპირ დანიშნულებას და იძულებულია არსებობის პურის ძებნაში ატაროს მეცნიერების შესასწავლი დრო. ეს გარემოება დიდ განსაცდელს უმზადებს ნორჩ საბჭოთა რესპუბლიკას.

ქართველი სტუდენტობა, რომელიც წარმოადგენს ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილს, რომელმაც უნდა მოგვცეს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი: ექიმები, ინჟინრები, ეკონომისტები, მასწავლებლები და სხვ., უსათუოდ საჭიროებს დახმარებას.

სახელმწიფოს ვალია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სტუდენტობას; ჩვენ ვფიქრობთ, რომ არსებული მთავრობა მიიღებს რადიკალურ ზომებს სტუდენტთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამ საკითხის გადადება მომავლისთვის ყოვლად შეუძლებელია. სასწავლო წელი მოახლოვდა. საკითხი ძლიერ საშურია. დრო აღარ ითმენს. ქართველი სტუდენტობა ელის მთავრობისგან რეალურ ნაბიჯებს, დიდებით შედეგებს.

ნ. მ.

## სად დამარცხდნენ.

რომ კაპიტალისტური წყობილება დრომოჭმულია, რომ იმპერიალიზმი გაკოტრდა, ეს ყველასათვის ცხადია. საჭიროა მხოლოდ ოდნავ ავამუშავოთ გონებრივი აპარატი. რას ეყრდნობა უმთავრესათ იმპერიალიზმი? კაპიტალისტურ ქვეყნების მთავარი მამოძრავებელი იმპულსია ახალშენებისა და ახალ ქვეყნების ხელში ჩაგდება, მათი გაყვლეფა, მსოფლიო ბაზრის მოპოებისათვის ქიშპობა. ასეთი ქიშპობის შედეგია უმაგალითო ომი ჯერ არ გაგონილ, ტიტანიურ მასშტაბითა და საშუალებებით: მხრჩოლავ გაზით, „ჩემოდანებით“, ტანკებით, ცეპელინებით, ზარბაზანთა ქარიშხლისებურ ცეცხლით, მაკენზენის ფალანგებით და სხვათა საშუალებებით. შედეგი იმპერიალისტურ ომის: ევროპის ენერგიის განიავება, კულტურულ ერთა შვილების მრავალი მილიონი ჩონჩხები, მრავალი მილიონი დასახიჩრებულთა, აუტანელი ეკონომიური კრიზისები და სხვა...

რას გვიქადის მომავალში იმპერიალიზმი, თუ არ აილაგმა ის? კიდევ უარეს ომებს, საოცარ ტევანშებს. მსოფლიოს დაწყნარება კი შეუძლიანთ მხოლოდ მსოფლიოს მშრომელთა გაერთიანებულ ძალას, რომლებიც წარმართავს ქვეყანას ხალხთა საკეთილდღეოდ. ასეთი ინსტიტუტი გახლავთ ინტერნაციონალი... იმპერიალიზმი დამარცხდა იდეურათ. მესამე ინტერნაციონალი დღეს ამაყად გადაჰყურებს მთელ მსოფლიოს. მიუხედავათ მრავალი ნაკლებისა ის დღითი-დღე იზრდება. მის დროშის გარშემო იკრიბებიან მუშა-გლეხები მთელი მსოფლიოსი, რომელთა ძლიერ მარჯვნა და კუნთიანნ მკლავებს გადასწყდა მთელი სიმძიმე და სიმწვავე იმპერიალისტურ ომებისა. მსოფლიო დაღუპვასა და საშინელებას თავს დააღწევს მხოლოთ მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციით, რომლისთვისაც მზად არის ევროპაში ობიექტური პირობები. გზა ხსნილი ეს არის. საჭიროა მხოლოთ ხელის შეწყობა. ასეთი პროგნოზი თანამედროვე რევოლიუციის უნდა მიზანშეწონილათ ჩაითვალოს. საუბედუროთ ასეთი არ იყო თანამედროვე ისტორიულ მომენტის შეფასება მენშევიკების მიერ. მათ სჯეროდათ სოციალისტური რევოლიუცია ათას წლის შემდგომ. ისინი ამბობდნენ: „კაპიტალიზმი“ შეიძლება შეიცვალოს სოციალიზმით მაშინ როცა კაპიტალიზმი მოკვდება თავის ბუნებრივი სიკვდილით. ეს კი არას დროს არ მოხდება.

აქედან უკვე ცხადია და გას გები, თუ რათ ართმევდნენ ისინი ხელს ბურჟუაზიულ ქვეყნებს. მაგრამ მენშევიკები მარცხდებოდნენ არა მარტო თანამედროვე რევოლიუციის შეფასებაში, არამედ ეროვნულს საკითხშიაც, როცა ილაშქრებდნენ ერთა თანამშრომლობის, ფედერაციის წინააღმდეგ და ნაცვლად ამისა იცავდნენ ცენტრალიზმს. ყველამ იცის, თუ როგორ გადააქციეს მენშევიკებმა ეროვნული საკითხი ტაქტიკის საკითხად, ერის საკითხი—პარტიის გადარჩენის საკითხად. გაიხსენეთ დროებითი კოალიციური მთავრობა და კერენსკის მთავრობის ცვალებადობა, ამიერ კავკასიის სეიმი და ბოლოს დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობა. დაუკვირდით ამ ეტაპებს და ამ ხანაში მენშევიკების ნამოქმედარსა და თქვენ მიიღებთ შემდეგ დებულებას: რაც უფრო იკვეცებოდა არე მათთვის სამოქმედო ასპარეზისა, მით უფრო უახლოვდებოდნენ ისინი ეროვნულ ნიადაგს, ეროვნულ საკითხის წამოყენებას, რადგან აშკარად იგრძნეს, რომ არავითარ ძალას, არავითარ მთავრობას არ ძალუძს დამკვიდრდეს საქართველოში გარეშე მის, ეროვნულ შეგნებისა და კულტურისა. სწორედ ეს გარემოება ალაპარაკებდა უკვე ჭადარა ნ. ჟორდანიას: „ჩვენ ვართ ჩვენი თავის მანდატორები და ბატონები“. ასეთ დასკვნამდე მიდიოდა ნ. ჟორდანია ქართულ სინამდვილის ღრმა განჭვრეტით. რა გარემოება იყო ისეთი ქართულს სინამდვილეში, რომ ამ დასკვნამდე მიდიოდა ნ. ჟორდანია?

ჩვენი წარსული, აწმყო და მომავლისთვის ბრძოლის ისტორია... ციხე-სიმაგრეები მაღალ ქედებზე რო ობლად სდგანან ვით გიგანტები და რომლებიც მოწამენი არიან უსწორო ომების, ერის შინაგან ძალისა, მონასტრები და ტაძრები თავის გასაოცი ჩუქურთმებით, ხუროთმოძღვრებითა და მხატვრობით ყველაზე უკეთ რო მოწმობენ ხელოვნებისადმი ღრმა სიყვარულს, საკუთარ სტილსა და სხვა მრავალი. ორი ათასი წლის კულტურა, ნინოს ჯვარი და დიდი შოთა; „კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ ამირანის“ პიონერები აკაკი და ილია და სხვა..., აი! ყოველივე ეს იწვევდა ქართველს ხმალში! ქართველ ხალხს აქვს ტრადიცია ეროვნულ განთავისუფლეისათვის ბრძოლისა მტრებსაც კი აოცებდა, არამც თუ მენშევიკებს, ის ცხარე ომები, რომელიც გადაიარა საქართველომ თვის დამოუკიდებელ ცხოვრების შექმნისას: ოსმალთა ურდოები, დენიკინი, დენიკინის ფილიალური განყოფილება გენერალი დრო და სხვა. ქართულში ზის მალულათ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არსებული მისი სახელმწიფოებრიობა, რომელიც ბრძოლისა და შემოქმედების იმპულსათ ევლინება მას შეუმცნობლათ. ჭეშმარიტად არ ძალუძს არავის ამ შეგნების აღმოფხვრა ქართველი ხალხის გულითგან, იმ შეგნების, რომელმაც მოახრევინა ქედი მენშევიკებს. „თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს ღარიბათ არ ჩავითვლებით“-ო, ამბობდა ქვეყნის და ერის გასაგონათ ბოლო ხანებში მოაზროვნე ნ. ჟორდანია, მაგრამ, საუბედუროთ, ამ სიტყვების მნიშვნელობა ქარწყლდება, როცა ვიგონებთ, რომ ისინი მიღებულია ტაქტიკის ძალით და არა პრინციპის მიხედვით, რომ ისინი როდია შედეგი ერთგვარ თეორიულ გარდატეხის შესახებ ეროვნულ იდეიისა და სხვა.

ასე აწეოდნენ მენშევიკები სპეკულიაციას ეროვნულ საკითხის გარშემო, ასე სტყუვდებოდნენ ისინი თანამედროვე რევოლიუციის შეფასებაში და ჩვენ შეგვიძლიან გადაუჭარბებლათ დავასკვნათ: ისტორიამ მენშევიკების ლიკვიდაციით მოახდინა საქართველოში ერთის მხრივ თვისი ლოღიკური დასკვნა, სამაგიეროთ მან გაამართლა ჯერ-ხნობით საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სა რევოლიუციო პარტიის თითქმის ყოველი პლატფორმა. ავიღოთ თუნდაც დებულება: „სოციალიზმი ერის პრიზმით განხილული..“ ვის არა აქვს ეხლა ეს შეგნებული?

ა. ქ—ძე.

## ყველა პარტიულ ორგანიზაციებს

თანახმად დრ. მთავარ კომიტეტის დადგენილებისა სულ მოკლე ხანში მოწვეულ უნდა იქნეს პარტიული ყრილობა. ამიტომ ცხადდება პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ დელეგატების გამოგზავნის უფლება აქვს მხოლოდ ორგანიზაციებს, რომლებმაც მოახდინეს ხელახალი რეგისტრაცია და ა. წ. ენკენისთვის 15-მდე საგანგებო საორგანიზაციო სამეულს მოაწვდიან წერილობით შემდეგ ცნობებს: 1) როდის დასრულდა ხელ-ახალი რეგისტრაცია; 2) ძველი ორგანიზაციაა თუ ახალი; 3) რამდენი წევრი ჰყავს; 4) კომიტეტის შემადგენლობა.

**საგანგებო საორგანიზაციო სამეული.**

**მისამართი რედაქციის.**

## გრიშა ჯიქიას ხსოვნას

გრიშა არ მომკვდარა ბუნებრივი სიკვდილით თავის სარეცელზე. არამედ იგი მოკლეს მთის მწვერვალზე, სვანეთის მდუმარე ნაპირებთან. გრიშამ ყველაზე უწინ აღმართა თავისი რაინდული სულის ცისფერი ეშაფოტი. გრიშას ხანმოკლე სიცოცხლის იდეალურ მხარეზე მინდა შევჩერდე. მე ვამბობ, რომ პარტიულ რწმენის გარეშე უფრო შეიძლება გრიშას გამართლება, თუცა მან სოც. ფედერალისტთა პარტიაში თვალ-საჩინო წვლილი შეიტანა. გრიშა 1905-დან ენერგიულ მუშაობას ეწეოდა სოც.-ფედერალისტების ბანაკში. მისი მედგარი სული ყოველთვის მსოფლიო პრობლემებს ევლებოდა თავს, როგორც ყვავილებს თეთრი პეპლები. მაგრამ ყველაზე უფრო მწველი მომენტი მის სიცოცხლეში არის მისტიკა, რომელიც შავი ცხენების სუნთქვით არის დაწვდარი. გრიშას დახვეწილი პიჯა სრული ამეტყველება იყო მეგრული ტიპის. მისი პროფილი მეგრული სინაზით და ადამიანურ სისპეტაკით იყო ამეტყველებული. მას სწამდა სიფაქიზე, და სითეთრე ტანისამოსის და იგი ცხენის სუნთქვის მისტიკაში ქმნიდა ახალ სამყაროს, როგორც აშორდია „ყალბ სიგელის“ წვერზე. და აქ იმალებოდა მისი სიცოცხლის გამართლების შორეული სიმპტომები.

ყველაზე უფრო უმძიმესი სიკვდილის ლანდი, როდესაც იგი ალის მზგავსად გაცხელებული ადამიანის არსებისაკენ მიექანება, იმისათვის რომ რამდენიმე წუთში ბნელეთის სამეფოსაკენ წაიღო ჩვენი განწირული სიცოცხლე, და შექმნას არარაობის სასახლე: არაფერი არ არის ისეთი საიდუმლო, მიუწვდომელი ადამიანის გონებისათვის, როგორც ეს წყეული სიკვდილის რაობა. აქ არის უმაღლესი ტრაგიზმის ბნელი ცეცხლები დანთებული, რომელიც მთელ მსოფლიოს დაფარფატებს თავზე, როგორც საშინელების შავი აჩრდილი.

გრიშა მთავრობისაგან რწმუნებული სვანეთიდან დაბრუნებისას მოჰკლეს გზაზე სვანებმა. რისთვის,—არავინ იცის. წარმოიდგინეთ ისეთი ტრაგედიის ფენომენი, მაშინ როდესაც მის წინაშე იდგა სიკვდილის ულმობელი აჩრდილი, ცხელი ტყვიებით გარემოცული, გრიშას თითქოს მფარველად თავისი საყვარელი ცხენი მოევლინა მირაჟივით, ტყვიების საშინელ ზუზუნისაგან შექმნილ კონცერტს რომ გაქცეოდა, კლდეზე გაწოლილმა გრიშამ თავი აიწია მაღლა, რომ უკანასკნელად კიდევ თავისი ცხენის ცქერით დამთვრალიყო და ჩუმად მისძინებოდა ნაპრალებზე, მაგრამ ამ კეთილშობილ განძრახვას უცებ ბოლო მოეღო და რამდენიმე წუთის შემდეგ გრიშას ტყვია მიაკრეს შუბლზე და მან მდუმარების კალთებთან დალია თავისი სპეტაკი სული. მე გემშვიდობები ძვირფასო გრიშა რამდენიმე მკრთალი სტრიქონებით და გეტყვი: ჩვენი მწუხარებით დაბინდული გული იქნება ის თოვლიანი უდაბნო, სადაც შენ დაიმარხები, და ჩვენი სულის ლურჯი ყვავილები მუდამ შეამკობს შენს ამაღლებულ საფლავს...

ტ. გრანელი.

## შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომერში „ნაციონალურ პრობლემა და ფედერალიზმში“ შემდეგი შეცდომაა დაშვებული: „ფედერალიზმი სწყვეტს ნაციონალურ პრობლემას ირაციონალურ პრინციპების მიღებახ“ უნდა იყოს „რაციონალური პრინციპების მიღმა“.

გუშინდელი წერილი ამხ. დ. მ—ლისა „წითელი რკინიგზელი“ სადისკუსიოა.

## ახალი ამბები

— **გემი ბათომის ნავთსადგურში.** 1 სექტ. მოვიდა გემი „დიმიტრი“. გემმა მოიტან 73.000 ფუთი სასურსათო პროდუქტი და 40,000 ფუთი ფქვილი.

— **თეატრის გახსნა.** თეატრი გაიხსნა ზესტაფონში, ჩხარში, ძირულაში, ბელაგორში, ლაშეში, დილიკაურში. აგრეთვე შემდგარია წერა-კითხვის უცოდინარობა სალიკვიდაციო კომისიები, რომელნიც უკვე შეუდგნენ მუშაობას.

— **სამკითხველოების გახსნა.** წყნეთში და დიღომში გაიხსნა სამკითხველოები.

— **ახალი სასადილო ბავშვთათვის.** ამერიკული კომიტეტი ხსნის მეექვსე სასადილოს ბავშვთათვის ავლაბრის რაიონში.

— **სახელმწიფო ოპერის თეატრი.** ოპერის თეატრში უკვე შეუდგნენ საზამთრო სეზონისათვის მზადებას. მოწვეული მსახიობნი უკვე ჩამოვიდნენ ტფილისში. სეზონი გაიხსნება სექტემბრის ბოლო რიცხვებში. განზრახულია რომ რეპერტუარში შევიდეს ახალი ოპერები და განახლდეს ისეთი ოპერების დადგმა, რომელნიც ტფილისის სცენაზე დიდი ხანია არ დადგმულა. ქართული ოპერიდან განზრახულია ბალანჩივაძის ახალი ოპერა „თამარ ცბიერი“ და დოლიძის ოპერა „ლეილა“. წარმოდგენები იქნება ფასიანი, გარდა 25 პროც. მთელი ბილეთების რიცხვიდან, რომელნიც უფასოდ განაწილდება მუშებს შორის.

## უცხოეთი

**სტამბოლი.** 14 აგვ. გაზეთი „იგდები“ ინგლისის გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ თანახმად სწერს მოწინავე წერილში, რომ საბერძნეთის იმპერიალისტები ოცნებობენ საბერძნეთის გაძლიერებაზე შავი ზღვიდან ხმელთა შუა ზღვამდე ევროპის სახელმწიფოთა აზრით, რომ რითაც არ უნდა გათავდეს ბერძენ-ოსმალთა ომი, მათი პოლიტიკა ოსმალეთში არ შეიცვლება. ოსმალეთის ნაციონალისტების გადაწყვეტილებაა, მანამ არ შესწყვიტონ ომი, სანამ არ განახორციელებენ „ნაციონალურ პროგრამას“.

**ტრაპიზონი.** ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ საბერძნეთის ცნობა ვითომც ანგორაში საბერძნეთის ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს სიცრუეა. არც წინეთ და არც ეხლა ასეთ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

**სტამბოლი.** 25 აგვ. გაზეთი „ტევჰიდი“ სწერს, რომ სტამბოლის მთავრობის ფინანსთა მინისტრმა შეადგინა ახალი გადასახადის პროექტი, რომელიც უნდა დაამტკიცოს მინისტრთა საბჭომ, გადასახადის მიზანია სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა, რომელიც 15 მილ. ლირას უდრის.

**ნაუენი.** 3 სექ. ზემო სილეზიის საკითხი გადაეცა [illegible] ლის შემადგენლობაში შედის 4 ქვეყნის წარმომადგენელი: [illegible] ჩინეთის და ისპანიის.

**ნაუენი.** 3 სექ. საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ გერმანეთში რესპუბლიკანელები ძლიერია, რაც მტკიცდება იმ გარემოებით, რომ მონარქისტების ცდამ ტყვილად ჩაიარა.

მუშა ქალთა რიცხვი გერმანიაში აღის 19 მილ., რაც შეადგენს 1 მესამედს გერმანიის მუშათა კლასისას.

**ლონდონი.** 3 სექ. ამერიკის სამხედრო აკადემიიდან ოფიცრების გამოშვების გამო პრეზიდენტმა გარდინგმა სიტყვით მიმართა მათ, რომელშიაც აღნიშნა, რომ მიუხედავად მშვიდობიანობისაკენ მისწრაფებისა სამხედრო ფლოტი და ჯარი მაინც აუცილებლობას წარმოადგენსო.

**რომი.** 4 სექ. 2 სექტემბერს ბერლინში მოხდა გრანდიოზული დემონსტრაცია. დემონსტრანტებს ქონდათ დროშები წარწერით რესპუბლიკის შენარჩუნებისა და პოლიტიკურ მკვლელობის წინააღმდეგ პროტესტის განცხადებისა.

**რომი.** 3 სექ. ბრიტანეთის მთავრობამ წინადადებით მიმართა ნიდერლანდის მთავრობას, რომელშიაც მოითხოვს, რომ ვილჰელმი დაუყონებლივ გაძევებულ იქნეს ნიდერლანდიიდან. ეს მოთხოვნილება დაკავშირებულია გერმანიაში მომხდარ ამბებთან.

**რომი.** 3 სექ. იტალიის პრესა აღნიშნავს, რომ ბერძნებისა და ოსმალების ცნობებს ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ორივე გამარჯვებას აღნიშნავენ. გაზეთი კითხულობს: ვინ არის მართალიო.

## რუსეთი

**როსტოვი.** 26 აგვ. დონის ოლქში შეკრებილია 4,798,901 ფუთი სურსათი სასურსათო გადასახადის სახით.

**მოსკოვი.** 29 აგვ. გაზეთი „ჰუმანიტე“ სწერს, რომ სენის დეპარტამენტის სინდიკატმა, სადაც თავს იყრის ლითონზე მომუშავეთა უმრავლესობა, დაადგინა: საბოტაჟი ეყო ხელი „შეუმაღლოს რუსეთის საწინააღმდეგოდ საქონლის დამზადებას.

**მოსკოვი.** 2 სექ. სასურსათო გადასახადის ამკრები კომპანიის ცნობით, გადასახადთა აკრება წარმატებით მიმდინარეობს.

**მოსკოვი.** 2 სექ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით დაწესდა გადასახადი ელექტრონის ენერგიის, წყლის, ტრამვაის, აბანოების სარგებლობისათვის.

**მოსკოვი.** 3 სექ. ფინლიანდიის სამხედრო ბიუჯეტი უდრის 330 მილ. მარკაზე მეტს.

**მოსკოვი.** 3 სექ. პოლონეთში რკინის გზელთა გაფიცვამ ფართო ხასიათი მიიღო. გაფიცვას პოლიტიკური შინაარსი აქვს.

**მოსკოვი.** 3 სექ. იაპონიაში დაატუსაღეს 300 მუშა გაფიცვისათვის. დატუსაღების გამო მობილიზაცია მოახდინეს პოლიციელთა და ჯარიც დაიხმარეს. დატუსაღების დროს მოხდა შეტაკება მუშებსა და პოლიციელებს შორის.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

მათემატიკის მასწავლებელი
**ივ. მარ. მაჩაიძე**
(ყოფ. გიმნაზიის დამთავრებული და გამგე)
**ამზადებს** საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებში შესასვლელად და მოწმობაზე. განმეორებითი საზაფხულო გამოცდებზე მათემატიკურ საგნებში: ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში, გერმანულ და რუსულ ენებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვადა ჩაწერა 7—8 ს. 3—6. 1271

ტირაჟი 1000